


ს ი ა ს ბ ი



№9. 1938წ.
შანო 60 პპ.

გამოცემის წელი 20-XV საქ. კ.კ(ბ)მ-ის ბავთაბავთობა-
კომუნისტი

10/4 8 49
190



წახ. მ. ლებეშვილი.

საარჩევნო კაბინაში — ერთი წუთით განზე მივდებ ჩემო სამთითა ლანგარო! არ დამიღონდე. ეს ბარათი არა ნაკლებ
შკვეთარა ლანგარია ჩვენი მტრების წინააღმდეგ მიმართულა.

ნიანგის მონოღება

თბილისის
ბიბლიოთეკა

დღეს ვირჩევთ საბჭოს უმაღლესს, დღეს შეესხმება ფრთება
დიად აზრს, რაზეც ჩვენს გპირ ხალხს ოდესმე უოცნებია.
ვის უნდა მივცეთ ჩვენი სმა? ვის გულისხმობს გულები?
ვის გვებულება, ვინა გვევაჭვ ერთგულად დანაგულები?

ვინ გაანათა ხალხით ჩვენი ცა ფირუხოვანი,
ხალხს გპირის სული აუნთო, გააჭაბუკა მსცოვანი?
ვინ გაატანა ლეგენდებს წარსული კაეშიანი
და გაუთენა ჩვენს მხარვს შვების დღეები სვიანი?

ბორკილთა მსწრევი უძლევი დრომა ვინ აგვაძარტოვა,
მხარე მშობელი ედემად ვის სიბრძნემ გაგვაძარტოვა?
ვინ დაგვითესა ეკლოვან ცხოვრების ველზე ვარდია?
ვინ მოგვცა თავისუფლების უუდიდესი ქარტია?

—იგია მთელი ქვეყნების ხალხთა ბელადი სტალინი
ბრძენთა ბრძენი და ნაცადი, მოუდრეკელი სალივიო,

იგია ჩვენი წინსვლის და მომავლის გამომსახველი,
სიმხნით, ხალხით ათროლებს ჩვენს გულებს მისი სახელი.
იმას ეკუთვნის ჩვენი სმა, ჩვენი ძეგლავი და გულები,
ზრახვათაც ჩვენი გულისა მის დრომას ვანდობთ სრულებით.

მისი სახელით ხალხობს ნიავი, სიო, ტუე, ეანა,
ცა ფირუს, სმელეთ ზურმუხტი ჩვენი სამშობლო ქვეყანა.
ჩვენს საარჩევნო სიებსა ამშვენებს მისი სახელი,
მშრომელი ხალხის სიბრძნის და გენიის გამომსახველი.

ბელადის თანამებრძოლთა სახელიც იქვე სწერია...
ჩვენს სიაშია უდრეკი ჩვენი ლაურენტი ბერია,—
ეს საქართველოს წალკოტის შენების სტასანოველი,
მის სიბრძნემ, საქმემ, სიმტკიცემ, გააცაჭკვრევა უოველი,

ჩვენს სიაშია ახალი ქვეყნის მშენებელი კრებული,
ზარტიულ-უზარტიონი შეწეობილ-შეერთებულნი,
ერთად ვაძენთ ქვეყანა, მტერს ერთად დავხვდეთ მტრულად
წინ! საარჩევნო უბანში წავიდეთ დარაზმულად!

- სმა მივცეთ ახალ ცხოვრებას, საამურს, სათაუვანებსა!
- სმა მივცეთ მხარეს ციტრუსთა წალკოტით ანამწვანებსა,
- სმა მივცეთ აწმუოს მშენიერს და მომავლის მზის სსივებსა,
- სმა მივცეთ შრომის ხალხით აღსავსე კოლექტივებსა.
- სმა მივცეთ ახალ გიგანტებს, ფაბრიკა-ქარხნებს აკებულს,
- სმა მივცეთ ქვეყნის სიმდიდრეს, სიუსუეს ნოხათ დაგებულს.
- სმა მივცეთ ერის მშობელის აღსრულებულსა წადილსა,
- სმა მივცეთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას ნამდვილსა.
- სმა მივცეთ სტალინელების სიმტკიცეს, მისანს, ქველობას,
- სმა მივცეთ ხალხთა მშობის და კაეშირის უძლეველობას.
- სმა მივცეთ მტკიცე საფუძველს საქვეყნო მომავლისასა,
- სმა მივცეთ შვების სიმღერას, ჩვენი ცხოვრების დღისასა,
- სმა მივცეთ წინსვლას ტიტანურს, ძალას უძლეულად მბადებსა,
- სმა მივცეთ სტალინურ ბლოკის სტალინულ კანდიდატებსა.



„...თავისუფალი“ არჩევნები ფაშისტურ გერმანიაში.

ინფორმაცია

საღამოს ცოტა გვიან მოვედი სახლში. თითო ლიტრი ჩამოვდგათ ბიჭებმა და იმან შეგვიქცია.

სახლში სტუმარი დამიხვდა. შევბუღებულაში მყოფი წითელარმიელი. სტუმარი კი არაა, ჩემი ბიძაშვილია, მაგრამ კარგახანია არ მინახავს და იმიტომ ვეძახი სტუმრებს. გამიხარდა მისი მოსვლა. წავივარსებეთ, ვილაპარაკეთ, წაუღიღინეთ კიდევაც, ბაბუაჩემი და გვეხმარა ლოგინიდან.

გვიან დავექით და ისე დაგვათენდებოდა, რომ ვერ გავიგებდით, მაგრამ ჩემი ბავშვები ტორიოლას ასწრებენ ადგომას და კიდევ ბნელოდა რომ დაგვესხენ.

— პაპიკო, ადექა, ადექი მეთქი. გათენდა. წადი მალე ხმა მიეცი ძია სტალინს! — მეძახდა ბაჭი და ფეხებით მთელავდა.

— ძია ბერიასაც. — უმატებდა გოგონა და უღვავებდა მიწიწკნიდა.

— ძია ეფოვს! ძია მოლოტოვს! ძია ვოროშილოვს!.. — იძახდნენ ისინი და აღარ მაძლევდნენ ძილის გაგრძელების საშუალებას.

— მომიკიდით, ბავშვებო დამეხსენით! — ვიყვირე მე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდით, ვერ ვიხსენი თავი.

წამოვდექით, ჩავიცვით ტანზე და მოვემზადეთ წასასვლელად.

— თუ ძია სტალინს არ, მიეცი ხმა, სახლში არ მოგიშვებ.

— კიდევ ძა ეფოვს!

— ვოროშილოვს!

— ძია ბერიასაც! — და ბავშვები ისევ თავიდან იწყებდნენ.

რას ვიზამდი, მივეცი პირობა და წამოვედი. ჩემმა ცოლმა ძუძუმწოვარა ბავშვი დაიკავა ხელში. მე იმაზე უფროს ბიჭს მოვაგლე ხელი, ჩემმა ბიძაშვილმა მოისხა შინელი, დაიხურა წითელ-

არმიელის ქუდი და გამოგვყვა. ჩვენს ეზოში ორი თანამშრომელი კიდევ ცხოვრობს ჩვენი მილიციისა და ისინიც ჩვენთან იყვნენ.


მივედით, ბავშვები მათთვის გაწყობილ ოთახებში გაუშვით და ჩვენ ხმის მისაცემად მოვემზადეთ. ახლა ვაგვახსენდა, რომ ბაბუამ დაგვიბარა არ დამტოვოთ შეიღებო ხმის მიუტყემლად, მიმიყვანეთ როგორმე ყუთთან, ჩემს მთავრობას ჩემი ხმა მივეცო. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მანქანა გვათხოვა, ჩემი ბიძაშვილი ჩაჯდა შიგ და ერთი წუთის შემდეგ მოხუცი ბაბუა მოაქროლა. მერმე ხელი მოჰკიდა ვადმოიყვანა და საარჩევნო უბანში შეიყვანა.

ამ სურათის დანახვაზე ბურჟუაზიული ქვეყნის ერთერთ გაზეთის კორესპონდენტმა ლაბასონმა თავის გაზეთს ასეთი ინფორმაცია მიაწოდა:

„საბჭოთა ქვეყანაში — სწერდა ის — არჩევნები ენისაგან გამოუთქმელ ძალდატანებით ჩატარდა. საარჩევნო უბნებში თქვენ თვალს ეცემოდა სამხედრო ტანსაცმელებიანი შინსახკომელები, მილიციის ნაწილები, წითელარმიელები და ზოგიერთ ადგილებში მთავრობის ხელმძღვანელები. ეს ცოტაა. ამომრჩევლები ძალად გამოყავდათ სახლებიდან, ზოგიერთები მანქანებით გაიტაცეს და ისე მიიყვანეს ხმის მისაცემად.“

უცხოეთის კორესპონდენტის ამ ცნობას, თავის მხრითაც დაუმატა მისმა გაზეთმა და „ზუსტი“ სურათი დახატა ჩვენი საარჩევნო საისტემის და მისი შედეგების შესახებ.

**გაუბარებთ საქართველოს მუშათაი ხაღის
მეცნიერების ტაძარს! გაუბარებთ
თბ. სახ. უნივერსიტეტის XX წლისთავს!**



— აი, ასეთ ტაძრებს კი ჩვენ მუღამ ხალისით ვაშენებთ.

ს ნ ო რ ი პ ა ს უ ხ ი

ეს არც ძველი ამბავია. დაშისტურ ქვეყნის ერთერთ სასამართლოში, ახალგაზრდა მოქალაქეს ასამართლებდნენ. იგი პოლიტიკური ხასიათის დანაშაულის ჩადენაში იყო ეჭვმიტანილი.

საქმის გარჩევა დილის 10 საათზე დაიწყო. მას ბრალდებულის ერთერთი მეგობარი კარლიც ესწრებოდა.

ერთი საათის შემდეგ მსაჯულები განაჩენის გამოსატანად გავიდნენ. დამსწრეები დიდხანს ელოდნენ, მაგრამ მოსამართლეები არ ბრუნდებოდნენ. ორი საათის ლოდინის შემდეგ კარლი სასამართლოდან წავიდა და ნახევარ საათში ისევ დაბრუნდა.

— გამოიტანეს განაჩენი? — შეეკითხა მეკარეს.

— არა! — იყო პასუხი.

კარლი ისევ წავიდა და ნახევარი საათის შემდეგ ისევ მეკარესთან დაბრუნდა.

— გამოიტანეს განაჩენი? — იკითხა შან.

— არა. — იყო პასუხი.


კარლი ისევ გამობრუნდა და რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ შემობრუნდა.

— გამოიტანეს განაჩენი? — კვლავ შეეკითხა მეკარეს.

— რას ჩამაცივდი: ხომ გითხარი, რომ არ გამოუტანიათ! რას გამოიტანდნენ, როცა ჯერ განაჩენი არც კი მიუღიათ საიდნაცსაჭიროა! — წამოიძახა მოთმინებიდან გამოსულმა მეკარემ.



— შხამად შეგერგოთ აბეზარებო! ჯიქანს მაცლით და ამაგს მინც არ მიმახხოდრებო!..



— ეჰ, ამ თეატრში შესვლაზე წარმოდგენების დროსაც რომ აქეთ იძლეოდნენ ფულს, როგორც პარლამენტის არჩევნების დროს — ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყევდა!..

სკეპტის მოგონება

— ჰო, ჩემო მერცხლებო, რადგანაც მთხვრეთ, მოგიყვებით რა მინახავს და რას ვხედავ დღეს. ვენაცვალე ჩვენ კარგ მთავრობას, რომ ყველა სიკეთე ჩვენთვის უნდა. წინათ ბაბუა, მთავრობა ავევრჩია კი არა, მამასახლისის არჩევნის უფლება არ გვექონდა. მამასახლისად თავისი მელა უნდა წამოეყენებინათ. გინდოდა თუ არა, ვინ გკითხავ-

და. წინააღმდეგ წახვიდოდი და... მათრახი და „ვირის აბანოში“ დამწყვდევა ნაღდი იყო. აა, ამ ზურგს ახსოვს ყველაფერი ეს. მოდი ახლა და შეადარე მაშინდელი არჩევნები ეხლანდელს. ჩვენი ხუცესი თვალსა და ხელს შუა გვატყუილებდა. უნცროს-უფროსი, მდიდარ-ღარიბი უფალმა დააკანონა და უნდა ითმინოთო, სამაგიეროდ... იმ სოფელში პირდაპირ სამოთხეში შვლიტავთ თავსო, რა სამოთხე, რის ჯოჯოხეთი! ყველაფერი ეს

აქ იყო და ჩვენ მისი ზღაპრები გვაჯეროდა. მარხვა... ვის შეეძლო მარხვის გატეხა. თითონ ხუცესი წითელ პარასკევს ინდაურის და გოქის ხორცს ცეცხლავდა, ჩვენ ცხვირით ლაზაროს ქამით წელები გვექონდა. გაქრებოდა... ზო... ნიკოიე რომ გადმოაბრძანეს, მეღმენიკები მოგვევლინა. ენას არ მოაბრუნებდნენ რომ „თავისუფლება“ არ ეხსენებინათ. მაგრამ... არ შეგუამოს ჭირმა... იგენიც ნიკოიასავით გვატყუილებდნენ. ან კი რა სიკეთე უნდა გვენახა, როცა პარტიაში თავდა-აზნაურობა და ხუცები ყავდათ! ხეირს დაგვაციოდნენ? სახელმწიფო ღერბათ „წმინდა გიორგი“ გამოვიმენ. იმ წმინდა გიორგიმ ამოუტყუკა ხალხს თვალები. მემამულეებს ათა ჩვენდენი დაუტოვეს, ჩარჩები საუცხოვოდ დახრივინობდნენ. იტყოდი რამეს და კაი სული გედგა, ზურგს ავიტრელებდნენ მათრახებით. იმ ხანებში ჩემი მეზობლის, ყარამან კვახაძის ბიჭი დაბრუნდა ფრონტიდან და ვკითხვა: ეს მთავრობა დიდათ არ განსხვავდება ნიკოიას მთავრობისგანო. ცოტა კიდევ დაიცადეთ და მალე გვეყოლება ნამდვილი მთავრობა და საწყალი ხალხი სულს მოითქვამსო. გვიხაროდა, მაგრამ... ვილაც გათახსირებულმა მოჰკრა ყური მის ლაპარაკს და ნაობახტში დაამწყვდიენ — როგორ თუ შენ ბალშენიკებს აქებ და აქ ხალხს გვიჯანყებო.

ვიფიქრეთ, ნუ თუ მართლა აღარაა საწყალი კაცის საშველი და ტანჯვაში უნდა ამოგვეძვრეს სული-თქვა? ჩრთი დაუცახანეს თუ არა, ხელად მოძებნეს თავის სოროები. მოვიდა ეს მთავრობა და ხელად ააშვლია თავდა-აზნაურებს მიწები და ჩვენ დაგვირიგა. მერე რომ დავინახეთ, რომ ცალცალკე მუშაობით შორს ვერ წავიდოდით ავღეჩით და გავერთიანდით კოლექტივებში.

ქე არ მევეთქვით სული და ერთბაშად არ გვემართეთ წელში! რო კოლექტივი არა, მე ისევ ქალაბნები მეცმებოდა და ისლით დახურულ ფაცხას, ოდით ვერ შევეცვლიდი. რა გინდა რომ ჩვენ სოფელში არ იყოს ეხლა: ეს საექიმო პუნქტიო, ეს სამკითხველო, ეს კლუბი, ფოსტა, კოოპერატივი, სკოლა და რა ვიცი რომელი უნდა ჩამოვთვალო. წინეთ თუ ჩოჩიალა ურემი ძლივს დაღრინკილობდა, ახლა გზა გვაქვს ისეთი რომ კაი ანტონობილიც ქე კადრულობს გასეირნებას. იმე, ეს მთავრობა რომ არ გვეყოლოდა, ვინ გაღირსებდათ ბაბულია უნივერსიტებს. ჩემი სამი ბიჭი იქ გამიგზანეს და ამ სიკეთესთან ერთად ჯამაგირიც ქე აქვთ რაცხა, სიპენდია რო ქვია; ხო და ამის შემდეგ ვინ იქნება რომ ხმა თავის მტერს მისცეს და დაიდვას ძველი უღელი! არ გვეყო?

სული მეღვევა სანამ მივეცემდე ხმას იმათ, რომლებმაც ასეთი საამური ცხოვრება მოგვიბოვეს და ქე გახლავართ არხენად. ვისაც ეს საამური ცხოვრება არ მოსწონს, ჩეჩოს მატყლი, შავი ქვა, ცხელი ნაცარი. მარჯვეთ იყავით ბაბუ, მარჯვეთ. ამოუღეჩით გვერდში ჩვენ მთავრობას. ჩვენზე ბედნიერი ხალხი არც ყოფილა და არც იქნება!..

კ. საფირჩხიელი.

კინეკოლოგიური ინსტიტუტი

საქართველოს
კინეკოლოგია


ის იყო გინეკოლოგიურ კვლევითი ინსტიტუტის ეზოში შედგეი ფეხი, რომ მაშინვე მშობიარე ქალის კვილი შემომესმა.

— კაცო! არ ხარ ადამიანი? კვდება ქალი და არ უშველით? — ემუდარებოდა ახალგაზრდა კაცი კარისკაცს.

— ამხანაგო! რომ გეუბნები დეიჯერე, საწამ 9 საათი არ შესრულდება ვერავის ვერ შევიღებთ, ა, ჯერ 8 საათიც არაა, შეხედე შაათს, აგერ!

— კი მარა კაცო მანქანაში რომ მორჩეს ქალი, რას შვრებით მაშინ?!

— რა უნდა ვქნათ, ვეიყვანთ ბავშვიანად



შევით და ის იქნება...

— გადმოიყვანეთ ავადმყოფი, მეჩქარება... — ყვიროდა სასწრაფო დახმარების შოფერი და მანქანის განთავისუფლებას მოითხოვდა.

კვილი გრძელდებოდა. დილის 9 საათსა და 5 წუთზე ჩვენს ნაცვობ მშობიარეს, ინსტიტუტის დერეფანში ტყუბი ქალ-ვაფი შეეძინა.

— რას გავს ეს? განა დასაშვებია ასეთი რამ? — ცხარობდა ახალგაზრდა.

— რაია ბატონო, რაი?..

— როგორ თუ რაი, დერეფანში მოლოგო-წება ვის გაუგია!

— მაგი არაფერია ბატონო. აქანე მანქანაში რჩებიან მოსული ქალები თორემ დერეფანში რა უშავს ბატონო! — ამშვიდებდა ახალ მამას მომვლელი ქალი და ქალვაჟის სამადარიჩო საჩუქრის მოლოდინში იყო.

ისე გამიტაცა ამ ამბავმა, რომ ჩემი სასწრაფო საქმე სრულიად დამავიწყდა.

— ამხანაგო, ზევით მიხდა შესვლა. — მივმართე კარისკაცს.

— ზევით შესვლა არ შეიძლება...

— თუ ძმა ხარ, არ დამლუპო...

— არა, შეძლებით შეიძლება, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ვერ მიხვდი?

უკვე გასაგები იყო ყველაფერი: თოთხმეტ ადგილას დაფლეთილი და ჭუჭყიანი ხალათი ჩავიცვი და კიბეებს შევუდექი. ოთხი საფეხური არ მქონდა გავლილი, რომ კარისკაცის გინება შემომესმა. (ჩემსკენ მომართული). თან ფულის სახელს ახსენებდა გაბრაზებული.

სიტყვიანების ოთახში შევედი თუარა ვილა-ცამ ბოთლი შიგ ფეხებში ყუმბარასავით დამანალა.

— ვაიმე, მომკლეს! — დავიძახე შეშინებული და გულშეწუხებული იქვე წავიქეცი..

— არიქა მტეელი ასტეიბია, — დაიძახეს მომვლელმა ქალებმა, დამატანეს ხელი და საკაცეთი შიგ სამშობიაროში ამომყოფიეს თავი.

მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა მორიგე ექიმმა ბრძანება გასცა: მაშები მოამზადეთო...

სამშობიარო მაგიდაზე წამოვჯექი. ბებია ქალმა შიშისაგან იქვე ჩაიკეცა.

— იშვიათი შემთხვევა, ორსული მამაკაცი, ორსული მამაკაცი! უი! უი! უი! ეს რა ვნახე! — ყვიროდა მომვლელი ქალი.

— თქვენ აქ რა გინდათ? — გაბრაზდა ექიმი...

— მე თვით არ ვიცი ბატონო ექიმო, შემომამთრის. — მივუგე მე.

ამ ამბავს თავს ვერ დავაღწევდი, რომ ჩემდა იღბლად ვილაც მშობიარეს საშინელი კივილი არ დაეწყო...

— სადა ხარ კაცო შენ? — მკითხა ცოლმა.

— ვინ იყო იგი, ყუმბარა რომ ფეხებში დამახალა?

— ყუმბარა? ყუმბარა კი არა ბოთლი ვისროლე.

— შენ ისროლე?

— ჰო, მე!

— რას მერჩი, რა გინდა ჩემგან?

— შენ კი არა, მომვლელ ქალს ვეძახდი...

— მერე ზარი ხომ გაქვთ?

— ზარი ერთი კვირაა არ მუშაობს, თუ რამე არ გასტეხე ზედაც არავინ შემოგხედავს..

საუბარი მოულოდნელობამ შემაწყვეტინა...

— უიმე ვიწვები, მიშველეთ... ცეცხლი...

— არიქა, ელპიტე, ანიჩკა, გამეიძახეთ სახანძრო რაზმი, ჩქარა კაცო!..

— შეიქნა კვილი ერთ ოთახში.

ძალაუნებურად მეც გამოვედი გარეთ და მეორე ოთახში შევევარი.

მთელი საავადმყოფო შეწვრილდა.

— სად მიხვალ ქალო, რის ხანძარი, რა ხანძარი!..

— აბა რა მოხდა ქალბატონო?

— აჰ, არაფერი, აგერ ავადმყოფს ბანკების გაკეთების დროს ზურგზე ცეცხლი წავუქიდე და უკვე ჩავაქრე, — გულდამშვიდებით უპასუხა მომვლელ ქალს ბებია ფერშალმა ვ. ბაბლიძემ და გზა განაგრძო.

სამზარეულოში ერთი ალიაქოთი ატყდა:

ამ ალიაქოთის უმნიშვნელო მიზეზიც მალე გავიგე... მომვლელ ქალებს ავადმყოფებიდან გამონატან საკმელზე ჩხუბი მოსვლიდათ...

ის იყო ცოლს სასაუბროთ მივეუბრუნდი, რომ ოთახში ორსული ქალების მთელი ჯგუფი შემოცვინდა.

— არ გაუშვათ, არ გაუშვათ, ატატატა, ატატატა, სად წახვალ, სად წახვალ!


— არიქა ნინა, ცოცხი მეიტა, ჩქარა, ჩქარა!..

— რა მოხდა, რა ამბავია? — ვიკითხე გაცებულმა.

— თავგია ბატონო, თავვი! არ გაუშვათ, აბაბა, დევიჭირე, დევიჭირე, უჰ! ქე არ ეიქცა!

— აჰა, ახლა სადღა წახვალ, — დაიძახა ფეხმძიმე ქალმა და მსუნაგ თავს ტუფლის ქუსლით თავი გაუქეჭყა...

— შე მსუნაგო შენა, მთელი ღამე არ გვადინებს შენი ამხანაგები. აბა ქალებო, წავიდეთ.



მოკლული თავვი, ხელში კუდით ააპორწი-ალეს და გამარჯვებულებს თავიანთ საწოლებისათვის უნდა მიეშურებინათ, მაგრამ ერთი უცნაური რამ შეიტყვეს: მოკლული თავვი ორსული გამოდგა.

და ერთმა მათგანმა სთქვა:

— საწოლებ ქვეშ რას დაიპარებოდა საცოდავი, ორსულად თუ იყო ექიმთან ვერ მივიდა გაბედულად?..

მეორემ უპასუხა:

— რას იზამ, იქნებ კარისკაცს შემოეპარა. „ნაჩაის“ ფული არ ექნებოდა. ექიმამდე საწოლ-საწოლ მიძვრებოდა, ალბათ კარის კაცისა და მომვლელ ქალების შიშისაგან აკანკალებული.


კვანძილა.




ქვეყნის თვალის ასახვევად
სამშვიდობო ჰანგზე ჰგალობს
საქმით ომის გამჩალებლებს
პირს უკოცნის, ქანქარს სწყალობს.



ტვინი აჭკვედა ქალაში,
„შვენი“ ლაბაბი ნაზია,
თვის კანში ვეღარ ეტევა,
ჰსურს გადაულობს აზია.



ნაღვზე ჰყიდის იარაღებს,
„ვინც რა უნდა სთქვასო,
ოღონდ ოქროს შემოსავლის
წისქვილმა კი ფქვასო“.



ბანკირია. ბლომად უქვეს
ქანქარი და ფარჩეული,
ხმები ფულით შეისყიდა,
შიტომ არის არჩეული.



პარლამენტის არჩევნებში
იმედოვნებს გავა იგი,
მეგობრებმა „წამოსწიეს“
გაიცანით, გახლავთ შპიკი



ესეც მათი კანდიდატი,
განთქმულია ქველობითა,
დღე და ღამე „ოფლს ღვრის“, „შრომობს“
ცხოვრობს „სუფთა“ ხელობითა.

ჩაის ჭიქა

ცოლმა გიგოს დაუბარა, რომ ჩაის ჭიქები ეყიდა და სახლში მოეტანა. გიგოს არასოდეს შეუსრულებია ცოლის დავალება, მაგრამ ახლა კი გადასწყვიტა, რომ გაეხარებია ცოლი და ეყიდა ჩაის ჭიქები.

შევიდა ჭურჭლეულობის მაღაზიაში.

დაათვალიერა ყოველნაირი ჭიქები.

— მეგობარო, ჩაის ჭიქები არა გაქვთ?

— ხელში მაშ რა მიჭირავს! — უთხრა ნოქარმა.

— მე ჩაის ჭიქები მინდა. — გაუმეორა გიგომ.

— ეს არის. — მოკლედ მიუგო ნოქარმა.

— ბრმა ხომ არა ვარ, რომ ვერ გავარჩიო ჩაისა და ღვინის ჭიქა ერთმანეთში. — გაცხარდა გიგო. — მართალია ჩაის მე არა ვსვამ, მაგრამ ვანა არ ვიცი რომელი რა ჭიქაა? ეს ღვინის ჭიქაა, მე ასე-

თი ჭიქით ღვინოს ვსვამ. ჩაის ჭიქა ალბათ ამათზე დიდი უნდა იყოს. მომეცი ჩაის ჭიქა.

— მოქალაქევ, ეს არის ჩაის ჭიქა, ხოლო აი ეს არის — ღვინის ჭიქა. — უთხრა ნოქარმა გიგოს და უჩვენა ჩაისა და ღვინის ჭიქები ცალცალკე.

— მე შენ ვერ მომატყუილებ. ეს არის ღვინის ჭიქა, მე ამით ღვინოსა ვსვამ, ხოლო ეს უმცროსი ჭიქა არის არაყის დასალევი ჭიქა. ყოველ წუთში ხელში მიჭირავს, ვანა არ ვიცი!

— რატომ არ იყიდე ჭიქები. — უსაყვედურა ცოლმა, როცა გიგო სახლში დაბრუნდა.

— შენს მზეს ვფიცავ, ჩაის ჭიქა ვერსად ვიშოვნე. ღვინისა და არყის ჭიქებია ყველგან.




რჩეული იყო ძველ დროში,
„გააპრადალა“ მამული,
თავს კარგად გრძნობდა ღაბაბზე
ნუნუა გადანამული.



სკუფიას ჯვარი უმკობდა
ნაკურთხ-ნავლები მირონში
დებუტატობდა „რჩეული“
ზუბრების სათათბიროში.



ამათრანებდა „ურჩი“ პირებს
ნიკოლოზის მზეს ფიცავდა
დებუტატობდა „დუშაში“
„ხალხის“ ინტერეს იცავდა.



ა მ ხ ა ნ ე უ რ ნ ი ა ნ ე უ რ !

გორის რაიონში, სოფ. ხიდისთავში მოხდა ასეთი შემთხვევა: ხილას თავის ა. ს. საშ. სკოლის მე-6 კლასის მოწაფეს ტასო გელიაშვილს ექიმი ქალი ავეტისოვი აძლევს ასეთ მოწმობას:

ც ნ რ ბ ა

ეძლევა ესე მოწმობა გელიაშვილ ტასოს მასზედ, რომ იგი არის ავად მწვავე სის ნაკლებობით და ფილტვების ჯირყვლების სისუსტით. ესაჭიროება ლოგინში წოლა და მკურნალობა. განთავი სუფლებული იქნეს გამოცდებისაგან და გადაყვანილი მე-8 კლასში.

მ. ა. ავეტისოვა

გაცნობებთ, რომ ტასო გელიაშვილი არის 6 კლასში და ექიმი ავეტისოვი და ტასო კი თავზე ახტებიან 7 კლასს.

ამხ. ნიანგო! რაკი ასეთ გულმოდგინეობას იჩენს ექიმი ავეტისოვის ქალი სასკოლო საქმეებისადმი, იშუამდგომლე ჩვენს მაგივრად ზემოაღნიშნულ პირის წინაშე, რათა გააუქმოს მან სახალხო განათლების კომისარიატის ყოველგვარი განკარგულებანი სასკოლო მმართველობის შესახებ და მოგვაწოდოს პირადათ საკუთარი რეცეპტით რომელიმე აფთიაქიდან გამოტანილი საერთო მათითებანი მოწაფეთა კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ.

წინააღმდეგ შემთხვევაში მოწაფე ტ. გელიაშვილის მე-6 კლასიდან მე-8 კლასში გადაყვანა ან თუნდაც მე-7 კლასში გადაყვანა, ექიმ ავეტისოვის განკარგულების საფუძველზე, შეუძლებელია.

ხიდისთავის (გორს რაიონი) ა/ს. საშუალო სკოლის დირექტორი:

3. აბაიძე




ესეც იყო „რჩეული“,
„ხალხთა მხსნელი მესია“
მტრებისაგან იცავდა
მეფეს და ეკლესიას.



სოლოლაკს ფლობდა ძველ დროში
თბილის ქალაქის ხმოსანი
... შორის რჩეული
ვაჭარი ქარვასლოხანი.

ყველაფერი კარგია, რას კარგად ბოლოვდება



მოქმედნი:

1. დავითი — მსმელი ახალგაზრდა.
2. ლია — ცოლი მისი
3. მიშა
4. ალიოშა
5. გრიშა

ამხანაგები

(სცენა — ოთახი. ფარდის ახდისას ლია დანჯარასთან ზის და კერავს. ისმის დავითის ხმა კულისებში).

დავითი: (სიმღერა)

აჰა ტურფავ გიკვლებო,
აღარ არის საშველი.
ეხლა მაინც მითხარი
შენ ჩემი ხარ მე შენი...

ლია: კიდევ გალემილა... (დავითი შემოაღებს კარებს).

დავითი: სევასტის ვენაცვალე. (გაწვება სატაკზე).

ლია: დათიკო, გენაცვალე, რა მოგივიდა?..

დავითი: ლია — ეს შენ ხარ? გენაცვალე, რაფერი იჯავრო ცხოვრებაში, (ხარხარებს).



დამთვრალხარ ჩემო ჩაის ვარდო... როგორ ქანაობ. განა რამდენი ლიტრი დალიე?..

ხედავთ ოთახსაც აქანავენებს... ლია, ეს ოთახია თუ გამაქი?.. შესდექი, შეაჩერე ოთახი... სევასტის ვენაცვალე...

ლია: კარგი გეყოფა, ნუ ყვირი.

დავითი: ხმა ჩაიკმინდე... ვინ არის ამ სახლის უფროსი? — მე თუ შენ? ლია, გინდა ესკიმო გიყილო? აბა ძროხას გიყიდი...

ლია: დაიძინე...

დავითი: მე ძილი არ მინდა და არც მსურს მაგაზე ფიქრი... შენ გინდა მე მასიამოვნო... მაშ გააჩინე ექვსი ლიტრი... მოიცა, ფული წაიღე (ჯიბეში ეძებს) თუმცა არა, ნისიათ მოგცემენ. ჯამაგირიდან აი ეს დამრჩა (შაურთან აგდება მალა).

ლია: განა არ გეყოფა რაც დაგილევია?

დავითი: ლია, როგორც გეტყობა ჩემო ჩაის ვარდო, გვარიანად დაგილევია. შეხედე

შენ თავზე იხეები როგორ ტანვოს ცეკვავენ. მოიცა, მოიცა დავიჭიროთ... (წამოდგება და ბარბაცით ტახტზე გაწვება) ეი ტაქსი... წადი პირდაპირ... ლია, მე შენ თივას გიყიდი, ძროხას, ესკიმოს... ჭამეთ.. სევასტის ჭირიმე... (ჩაეძინება) 'ყმაწვილებო... ეს გაუმარჯოს სევასტის... (ჩაეძინება).

ლია: (დახედავს) ჩაეძინა... რა ვუყო. რა ვქნა... რამდენჯერ მისცეს გაფრთხილება, მაგრამ... მაინც არ იშლის.. (შემოდის ალიოშა).

ალიოშა: შეიძლება, ლია, ამხანაგებით შემოვიდე?

ლია: შემოდით, შემოდით... თუმცა კარგ სურათს ნახავთ!..

ალიოშა: ჯერ არ მინახავს მაგის სიმთვრალე თუ... (ამხანაგებს) აბა შემოდით ბიჭებო (შემოდის მიშა და გრიშა) აბა, ჩქარა გაიტათ. (გააქეთ ავეჯეულობა).

ლია: (გაოცდება) ეს რას ნიშნავს?

ალიოშა: ჩუმად. გრიშა შემოიტანე სამზარეულოდან ფეხმოტეხილი სკამი.. (შემოაქვს) აი აქ დასდგი... ყველაფერი გაიტანეთ გარდა სარკისა (გააქვთ). აბა ეხლა კი დროა შევუდგეთ... მიშა, შემოიტანე, (მიშას შემოაქვს ყუთი).

მიშა: კოსტიუმი არ დაგავიწყდეთ!..

(აღმევენ ძონძებს და უკეთებენ ლოთის გრიმს და ჭლარა პარიკებს).

გრიშა: მზად არის!

ალიოშა: ჯერ სად ხართ, მოიტათ ის ჩვარი. (ხელს შეუხვევს) არ გაგეცინოთ... დამტოვეთ ყველამ...

მიშა: ჰა, ნიშადურის სპირტი... (ალიოშას გარდა ყველა გადის).

ალიოშა: (ჭიქაში წვეთებს ასხამს, შემდეგ წყალს დასდგამს) ყველაფერი რიგზეა... (დავითს აყნოსვინებს ნიშადურის სპირტს) წარმოდგენა იწყება (კუთხეში იმალება).

დავითი: (ცხვირს აცემინებს) აცხა კატა. (აღმეინებს კიდევ სევასტი.. (თვალებს იფუნტს), ეი რაშია საქმე, სად ვარ მე?! (ალიოშა მიუახლოვდება).

ალიოშა: რა გაღრიალებს?

დავითი: ო... ალიოშა!. ალიოშა!. ჩემო მეგობარო, ჩემო ძმაო... რა ზორბად ჩავასხით მე და სევასტიმ რომ იცოდე... ალიოშა, სად ვწევარ მე ეხლა...

ალიოშა: შენს სახლში.

დავითი: (ელდანაკრავი) როგორ ეს ჩემი ოჯახია? ხაბაკი რა იქნა?..

ალიოშა: მე მაოცებს შენი კითხვები დღეს. განა არ გახსოვს, რომ გაჰყიდე და ღვინოში დახარჯე?

დავითი: რაო? როდის?.. რას ამბობ?.. ჩემი ჯამაგირი რომ შევქამე ეგ კი მახსოვს მაგრამ ხაბაკი... მოიცა... მოიცა... ეს ძონძები რომ მაცვია... ჩემი ახალი კოსტიუმი სად არის?.. ნამდვილად გამქურდეს მილიციას უნდა შევატყობინო...

ალიოშა: გაჩუმდი, რას სულელობ, ხალათი გაჰყიდე ღვინოსათვის და ახლა მილიციაში გინდა განაცხადო...

დავითი: უნდა წავიდე (დააპირებს წამოდგომას) ვაიმე, ეს ხელი ვინ შემბოჭა.

ალიოშა: ექიმმა.
დავითი: რას ამბობ კაცო... (დააპირებს ხელის აღებას).
ალიოშა: აბა არ აიღო ხელი, თანაშია გაქვს.

დავითი: მაშ ველარ ვიმუშავებ?!

ალიოშა: მუშაობა შენ მაინც არ მოგიბღებოდა ხელიც რომ არ გაფუჭებოდა.

დავითი: ვაიმე, რატომ?

ალიოშა: კარგახანია რაც სამუშაოდან მოგხსნეს ლოთობისათვის.

დავითი: ბიჭო ალიოშა... იქნება მე ჭკუაზე ვარ გადამცდარი და ნუ მიმაღავ თუ ძმა ხარ, მითხარი სიმართლე. (სარკეში ჩაიხედავს) ვაიმე...



ალიოშა: რა იყო?
დავითი: მოდი აქ ვინ არის საფრთხობელა სარკიდან რომ მიცქერის?
ალიოშა: როგორ თუ ვინ. შენ თავს ვერ სცნობ?

დავითი: მაშ ის მე ვარ ეს მე არის?.. (ჩაიხედავს სარკეში) შენ მე ხარ? მიშველეთ... ჩემი სახე გამოუცვლიათ... არც ცხვირია ჩემი.. ეს წვერი ვისია? (შემოდის მიშა და ლია ხელიხელ გაყრილნი).

დავითი: სად იყავი აქამდე... რად დამტოვე შენი საყვარელი ქმარი დათუშა... ლია... ლია... ჩემო ჩაის ვარდო... (დაიწვეს).

მიშა: (გადაეღობება) უკაცრავად, მოქალაქე! —

დავითი: როგორ თუ უკაცრავად... ცოლია ჩემი...

მიშა: მოქალაქე. ყველაფერს საზღვარო აქვს...


ლია: ქმარია ჩემი!..

დავითი: ლია, ვინ არის ეს?

დავითი: როგორ შენ ქმა... ქმა... ქმა... რი... რი... რი...

მიშა: ვითომ არ გახსოვს ამ რამოდენიშეთვის წინეთ თქვენ ლია ლოთობისათვის გაგეყარა.

ბიუროკრატი მდინარესთან



— სამი დღე და ღამე აქ ზიხარ. რას უცდი ამდენხანს?
— მდინარის ჩავლას, იქეთა მხარეს მინდა გადავიდე.

დავითი: მერე?

მიშა: მერე ის, რომ მე გავიცანი, მომეწონა, შოვეწონე. შემეფარდა, შევეყვარდი და ერთ მშვენიერ დღეს არ მასსოვს რიცხვი მმაჩში ხელი მოვაჭიკჭიკეთ და გავხდით კანონიერი ცოლქმარი.

დავითი: ღია... მილატე... არ გრცხვე-
ნია. ამ მაიმუნში გამცვალე!

მიშა: ჩემი მაიმუნობის რა მოგახსენოთ, მაგრამ თქვენ რომ ზოობარკიდან გამოქცეულ მხეცის ასლი ხართ, ამაში მე მგონია ღამე-
თანხმებით.

გრიშა: პირველად ხომ არ ჩავდივართ, რა
ძან გაგიკვირდა შვილოსან, ან რას მიყურებ,
ვერა მცნობ?...
დავითი: ღია გაუბედურებულხარ...

ღია: არა, მე ეხლა ბედნიერი ვარ... ჩემი
ქმარი არც ლოთობს, არც ხულიგნობს, შენ
რომ აკლებული გქონდა ოჯახი. დაგავიწყდა
რომ მთელი დღეობით სარდაფებში ალა-
მებდი?

დავითი: ხალხნო წამიყვანეთ კრემატორი-
აში, დამწვით, დამფერფლეთ...

ღია: ეს თქვენი ნებაა... მშვიდობით ბრძან-
დებოდეთ (მიშას) წავიდეთ ჩემო ძვირფასო.

მიშა: წავიდეთ ჩემო ძვირფასო (გადიან).

ალიოშა: მეც წავალ, უკვე დროა...

დავითი: შენ მაინც ნუ დამტოვებ ალიოშა,
ჩემო მეგობარო...

ალიოშა: შენ კიდევ ხმას იღებ ჩვენი მე-
გობრობის შესახებ. ლოთის მეგობარი არც
ვყოფილვარ და არც ვიქნები...

(ისმის კულისებში გრიშას სიმღერა)

აი მოდის შენი მეგობარი და ამხანაგი. ის
გაგართობს, ნახვამდის... (გადის. შემოდის
გრიშა).

გრიშა: (ვითომ მთვრალი) ძმას გაუმარჯოს
ძმას ვახლავარ 9 ცალი მუხევი კიტრით და
16 ლიტრი ჩუმლაყით... მაკოცე რაღა...

დავითი: (გაოცებულა) ვინა — ხარ?...

გრიშა: ვერ მიცანი?

დავითი: ვერ გიცნობ ძმია!

გრიშა: ვერ მიცნობ, კეთილი. მაშ ეხლა
გამიცანი (ხელს გაუწოდებს). მე გახლავარ ჭა-
მა-სმის ინჟინერი — აყალმაყალის ჩემპიონი
და ლიტრიანების დოსტაქარი. ვახსოვს წუ-
ხანდელი სკანდალი?

დავითი: შენ ეი რას ამბობ?

გრიშა: შენ არ ვახსოვს, თორემ აბა მო-
იგონე... ყველაფერი ხდება, აი მე როცა
რჯულზე დავთვრები ხოლმე ვგრე შენსავით
მავიწყდება ყველაფერი, აი თუნდაც დღეს
რომ მკითხო რა სკამე, ვერ გეტყვი აი ჩემმა
მზემ... მაგრამ რას ვამბობ, მაინც ვახსოვს რო-
გორ არა, ცოტა ვახსოვს... ვსვამდით, გათე-
ნებამდე ჩაის ჭიჭებით... და შემდეგ არ მახ-
სოვს მე და ჩემმა ღმერთმა თუ როგორ ამო-
ვყავით თავი რაიონში.

დავითი: რას ამბობ?

გრიშა: ახლა მე და შენ თავდებში ვართ...
საქმეს ამ დღეებში გაარჩევს სახალხო სასა-
მართლო... ეგ არაფერია ახლა საქმეზე ვილა-
პარაკოთ, ყველაფერი მზად არის, ხელსაწყო-
იარაღი, ქლიბები, გასაღებები რამე...

დავითი: რაო?...

გრიშა: შენც მამა აბრამის ბატკანი მყე-
ხარ რაღა... გარეუბნის კოოპერატივს უნდა
ვეწვიოთ.

დავითი: რა, კოოპერატივი გავქურდოთ?...

გრიშა: კარგი რაღა, ნუ ყოყმანობ, ადრე
გვაგვიანდება, ჩვენი ბიჭები გარეთ გველო-
დება...

გრიშა: პირველად ხომ არ ჩავდივართ, რა
ძან გაგიკვირდა შვილოსან, ან რას მიყუ-
რებ, ვერ მცნობ?...

დავითი: ლოთობა, ხულიგნობა, ქურდობა...
(წამოიჭრება) გასწი გამეცალე. თორემ მოგ-
კლავ.

გრიშა: შენ რომ არ მომკლა მე თითონ ვერ
მოვკვდები?! (გარბის).

დავითი: ვაიმე, ეს რა უბედურებაა ჩემს
თავზე... ვაი თავი მისკდება... (ჭიქიდან მოს-
ვამს) ფუ, რა ცუდი გემო აქვს ამ წყალს...
თავი მიბრუა... რა შემართება (წამოწვება,
ჩაქინება, შემოდის ალიოშა).

ალიოშა: შემოდით ამხანაგებო (შემოდის
ყველანი, თან გრიშებს და პარიკებს იხსნი-
ან) ყველაფერი როგუე ჩატარდა.

გრიშა: იცოცხლე, მე მაგას სიცხე მივეცი...
ცოტა დააკლდა სკამი არ მთხლიშა თავშე
(იხსნის პარიკებს).

ღია: საწყალი ჩემი დათიკო ძან კი გაწ-
ვალდა...

ალიოშა: აბა, ახლა ბიჭებო, ოთახი ძველ
მდგომარეობაში... გრიშა, მოდი შენ გრი-
მები მოხსენი, ჩვენ კი ოთახს მოვაწყობთ
(სინათლე ქრება).

სურათი მერე:

(განათებისას ოთახი პირვანდელ მდგომარე-
ობაშია!)

დავითი: (ბოდავს) არა, არა არ წამოვალ
მომშორდი (წამოიჭრება ზეზე) მეგობრებო,
ძმებო... მე არ ვარ დამნაშავე. ეს ღვინოა
დაწყველილი, ღვინო (თვალს მიაველ-მოავ-
ლებს) აჰა, ეს ჩემი ოთახია... ავეჯებიც ჩვე-
ულებრივ ადგილზე... ეს ხალათიც... პიჟა-
კიც ჩემია... ხელი, ხელი, ბიჭო, ხელიც მო-
მრჩენია... ვაშა... ვაშა... ვაშა. ღია, ეს შენ
ხარ ჩემო ჩაის ვარდო...

ღია: (შემოდის) აჰ, რა იყო რა მოვივიდა...
გაიღვიძე... მე კი ვადამრიე ჩემო კარგო...

დავითი: ღია!.. ღია!.. ჩემო ღია... ვბო-
დავდი...

ღია: განა შეიძლება გენაცვალე ასე ღვი-
ნის სმა... გრძობაზე არ იყავი...

დავითი: როგორ ეს სიზმარი იყო... (სარ-
კესთან მიიჭრება) გენაცვალე... მე, ისევ შე
ვარ... აი ჩემი ცხვირი... საკუთარი ცხვირი...
ყურებიც ჩემია... თმა, ღმერთო ჩემო, ჩემი
შავი თმაც... აი ნამდვილი ცხვირი, ჩემი ცხვი-
რი... ორი თვალი, ორი ყური, როგორც წი-
ნეთ მქონდა... ვაშა... ვაშა... ვაშა... (ცე-
კავს შემოდინ ყველანი) ბიჭებო, მე დღეს
ყველაფერი მიხარია ყველაფერი...

ალიოშა: ჩვენ შენთან შემოვივართ წამო-
დი, მალარიჩი დავლიოთ.

დავითი: რაო?... ღია მომიტანე ერთი თერ-
მომეტრი!..

ღია: რათ გინდა?...


დავითი: სიცხე მინდა გაუსინჯო ალიოშას.
ყველანი: რატომ?...

დავითი: სიზმარი ენახე ისეთი რომ... აჰა...
აჰა... წვეთი ღვინის დამლევი არ ვარ დღე-
იდან...

ღია: დათიკო, ჩემო დათუშა ძლივს...

დავითი: ჩემო ჩაის ვარდო... (გადაეხვე-
ვიან ერთმანეთს).

ფარდა



კბილის ექიმი, თეოფანე ღრძილაძე უშვილოდ გარდაიცვალა. დარჩა ერთად ერთი მეუღლე და ამრიგად, თუმცა საალიმენტოდ საქმე არასოდეს არა ჰქონია პატივცემულ კბილის ექიმს, მაგრამ თავის კაბინეტში კი მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ბევრი რამ ისეთი ჩაუდენია, რაც ერთ კარგ ალიმენტს მაინც შეედრება, თუ ორსა და მეტს არა.

თუ როგორ და რა ფორმით ხდებოდა ყოველივე ეს, საიდუმლოდ არის შემონახული და საკუთრივ აწ გარდაცვალებული თეოფანეს „უბის წიგნი“, რომელიც სინამდვილეში მეორეჯერ არავის გადაუკითხავს, რადგან თეოფანე მეტისმეტად გულჩათხრობილი, უენო კაცი იყო, რისთვისაც იგი თავის ერთადერთსა და უშვილო მეუღლეს დიდად უყვარდა.

ამიტომ, როცა თეოფანე გარდაიცვალა, მის პატივცემულ მეუღლეს, სიდონიას დიდ მწუხარებასთან ერთად, დიდი საზრუნავიც გაუჩნდა: მიცვალებულის დაკრძალვა, დაკრძალვამდე ერთი-ორი პანაშვილის გადახდა, კუბოს შეძენა, მისი მორთვა, ყოველივე ეს ხარჯსა და ტანჯვას ითხოვდა.

და წარმოდგინე, მკითხველო, თითქმის სამოცდაათი „მრგვალი წლის“ საკმაოდ მრგვალი მოხუცი ქალისაგან ყოველივე ამაზე საკუთარი ფეხით რბენა და წოწიალი.

ახლო ნათესავ-ნაცნობები სიდონიას თითქმის არავინ ჰყოლია ისეთი, რომელსაც ამ შემთხვევაში მისი დახმარება ეფიქრნა. „სესნი გადახდით არისო“ — ნათქვამია და ვისთვის უნდა დაევალებინა შრომა და დახმარება, თუ მას ან მის პატივცემულ მეუღლეს თავის სიცოცხლეში იქით არავისათვის არაფერი მიუვალვია?

მაინც, რა ყოფით და როგორც იყო, სიდონიამ მიცვალებულს უჭირისფულდა, ზოგი პირში მოფარისეველე ნაცნობ-მეგობარის წამქეზებელი თქმით, „სახელოვანი პატივისცემითაც“ გაისტუმრა საიქიოს თავისი ერთადერთი მეუღლე.

მაგრამ „მადა ჭამაში მოდისო“, ნათქვამია. ამ შექება-წაქეზებამ იმდენად იმოქმედა საბრალო ქვრივზე, რომ მიღწევებისაგან თავბრუს დაეხვია და — „პამიტნიკი“ უნდა დავადგაო — წამოაცდინა.

„სიტყვა ბელურა არ არისო“, ამბობს რუსული ანდაზა, და თუმცა ეს ქართულად-წამოსცდა ქვრივს, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ერთი სიტყვა, როგორც ხედავთ, რუსულიც გაერია შიგ. ამიტომ ანდაზის მეორე ნახევარიც — „გამოაფრენ, ველარ დაიჭერო“ — სავალდებულო გახდა შემდეგ ქვრივისათვის.

სულო ცოდვილო, ქონება ანუ „ქონი“, როგორც იტყვიან, საკმაო დარჩა უშვილოსა და ძალზე ძუნწ კბილის ექიმს. ასე რომ ერთი უბრალო ნიშანი საფლავზე მას უკვე სიცოცხლეშივე ჰქონდა დამსახურებული. და ერთგულმა მეუღლემაც ეს დამსახურება აღარ დაუკარგა თავის „საუკუნოდ დაკარ-

გულს“ ერთადერთ ამ ქვეყნიერს მოამბავს.

რკინის მესრებიანი მატური, რომელიც თითქმის შაბლონს წარმოადგენს ასეთ შემთხვევებში, ადვილად იქმნა შეძენილი და მორგებულიც თეოფანეს საფლავზე, მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ მასში შემდეგში მეორე მიცვალებულიც ჩატეულიყო თეოფანეს გვერდით. იგულისხმება, რა თქმა უნდა, სიდონიას მომავალი ნეშტი. ასეთი წინასწარი თადარიგის დაჭერა საზოგადოთ ბევრსა სჩვევია და რისთვის უნდა ყოფილიყო იგი სათაკილო უკვე სამარის პირზე მდგომ სიდონიასათვის?

მხოლოდ საქმე წარწერამ ანუ ეპიტაფიამ გააჭირვა. სადაც კი არ მიდგა ქვრივმა ფეხი, ყველამ ისეთი ფასი დაუკრა უბრალო თუნუქის ზედწარწერიანი ფირფიტისათვის, რომ ისედაც ხარჯით გაწაფულს მოხუცებულს უკვე ეს „დამატებითი გადასახადი“ დიდათ ემძიმა მოგვხსენებათ, დღევანდელ მხატვარ-კალიგრაფთა თავგასულობა. დაკლებით არავინ დაუკლო და ქვრივს იმედგაცრუებული დარჩებოდა, რომ ამ უხერხულობისაგან არ ეხსნათ იგი კბილის ექიმთან დაჩვეულ მუშტრებს, რომლებიც კბილის ექიმის გარდაცვალების შემდეგაც განაგრძობდნენ მოსვლას. როგორც გამოირკვა, მიზეზი ექიმის ბინის კარებზე დარჩენილი თითბრის ფირფიტა იყო წარწერით: „კბილის ექიმი, თეოფანე ღრძილაძე“ და სხ. და როდესაც ეს ფირფიტა ჩამოხსნა ქვრივმა, ყველა უხერხულობაც ერთთავად გაიფანტა: მუშტრებმაც შესწყვიტეს უმწურო დედაბრის შეწუხება და ძეგლზე მისამარებელი წარწერაც უკვე მზად აღმოჩნდა უკანასკნელის ხელში.

ხელად გაარბენია ქვრივმა ეს თითბრის ფირფიტა და ძეგლის რკინის მესერს მაგ-

თულებით მიამაგრა სწორედ თეოფანეს მხარეს, რომ მომავალში მაინც არ არუოდოთ აქ ისა და იმისი მეუღლე.

ძეგლი დამშვენდა: ახალ „პამიტნიკს“ ქვრივის მიერ მიკვრამდე დაფერილი თითბრის ფირფიტა ისე დაშვენდა, როგორც თითონ ქვრივს შევენოდა საკუთარი თავმორთვა.

და ამ საკუთარი გამოგონებით გატაცებულმა ქვრივმა სამჯერ ისე სწრაფად შემოურბინა ირგვლივ „პამიტნიკს“, თითქოს ლეკურით გატაცებული „დამოჩკა“ წრეებს არტყამს თავისი ერთ ადგილს გაჩერებული „კავალრის“ ირგვლივ.

მართლაც და რა მშვენივრად გამოიყურებოდა „პამიტნიკის“ იმ ერთ თავში ლითონის ფირფიტა!..

გამგლეხი თუ გამოგლეხი, ყველა იმ ფირფიტას ატანდა თვალს, რადგან იქ გარკვევით ეწერა: „კბილის ექიმი, თეოფანე ღრძილაძე...“

ასეთი რამის აღმოჩენა ზოგჯერ პირდაპირ სულზე მისწრებაცაა, მკითხველო, განსაკუთრებით მაშინ, თუ თქვენ მართლაც გტკივთ კბილი...

და თქვენც უტიფრული სიჯიუტით აკვირდებით პრიალა ფირფიტაზე სანატრელ წარწერას, თვალებით სჭამთ ამ ცივ მეტყველებას, არ ეშვებთ მას და მზად ხართ...

მაგრამ, განა, ცოველ დროს შეიძლება კბილის ექიმის მყუდრო ცხოვრების, თქვენი სურვილისამებრ შემფოთება, მით უფრო დარღვევა?!..

რა თქმა უნდა, არა! ამიტომაც ასე გარკვევით სწერია ლითონის ფირფიტაზე, ცოტა ქვემოდ:

„მიღება დილის 10 საათიდან დღის 8 საათამდე...“

ენუჭა

კ რ ი ა ლ ო ს ა ნ ი

მოლამ აბანოში სიმღერა დაიწყო, მოლას თავისი ხმა ძალიან მოეწონა.

— მოდი სასულიერო წოდების წიგნით გავხედო, — გაიფიქრა მოლამ.

მეორე დღეს მოლა მეჩეთის მაღალ კოშკზე ავიდა და დაიწყო გალობა.

— უჰ, რა საზიზღარი ხმა აქვს ამ გუეძინს (გუეძინი — სას. წოდ. პირი, რომელიც ლოცვას ატყობინებს მლოცველებს) — სთქვა ერთმა გამვლელმა.

— ამას არ იტყვი რომ ამ კოშკზე აბანო იყოსო — უპასუხა მოლამ...

ერთხელ მოლამ მაღაზიის გაქურდვა განიზრახა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა გამვლელმა.

— ჩონგურზე ვუკრავ!

— მე რე და ხმა რომ არ ისმის?

— ალბად ხვალ გაიგონებენ — უპასუხა მოლამ.

ერთხელ მოლა ქელებიდან ურმით დაბრუნდა, დამძიმებული ქუთუთოები ზევით რომ ამართა, ცაზე ბრწყინვალე ვარსკვლავები დაინახა.

— იქ რას აკეთებენ? — ჰკითხა მოლამ მეურმეს და ვარსკვლავები უჩვენა.

— ქელებია...

— მაშ ხარები პირდაპირ ვარსკვლავებისაკენ გარეკე...

მოლამ ერთხელ ჭაობში მოცურავე გარეული ბატები დაინახა, გამოუდგო, უნდოდა ერთი მაინც დაეჭირა. მაგრამ ყველანი გაფრინდნენ. მოლამ აიღო პურის ნატები, ჭაობის ნაპირას დაჯდოდა დასველებდა პურს წყალში და მერე პირში იღებდა.

— მოლა, რასა შვრები? — ჰკითხა გამვლელმა.

— ბატის წვეწას ვჭამ! — მიუგო მოლამ.



— ნუ იღიმებით დედილო! ცოტა ხნით მაინც მოითმინეთ, თორემ უკვე შეექვსე ნეგატავს გაფუჭები!
— როგორ არ გავიღიმო, როცა ჩემს შვილს უმაღლეს საბჭოს წევრად ირჩევენ.

სტილიზებული ამბები

სტუდენტური რამე-რუმე

— კლინიკაში არ მიშვებდნენ
ჩემი ძმა და შვილებიო...

— რა გამგე ყავს სასადილოს,
გამგე „ბრძენად“ დანასვამი,

— ნიკომ მაშო გამოლანძლა
და სიტყვები უთხრა ავი:



პლომბის ნაცვლად ექიმებმა
დამაცალეს კბილებიო.

* *

— სასეირნოდ ემზადები
ოფლითა ხარ დაზეთილი,
ჩაბარებისას ხუნდები
ჩვენი კედლის გაზეთივით.



უქნარაა მუდამ, ჩვენი
სასადილოს, დანასავით.



— თავი დაგიცარიელდა
ჩვენი წითელ კუთხესავით.

* *

— მე მეგონა ბანდიტს შეხვდი,
დაჩეხილი სახით გნახე,
სამწვადეთ ჩამოუთლიხარ
სტუდენტალაქის პარიკმახერს

სტუდენტთა სასადილოში

(სახუნივერსიტეტის სასადილო № 35)

სტუდენტების სასადილო
კარგია და მეტად მარგი,
მხოლოდ არის ამ დარბაზში
სისუფთავე მეტი ბარგი.

ისე როგორც მეტი ბარგი
ამ ზამთარში იყო შეშა:
სიცივისგან გავითოშე,
უქმელობამც გამაშეშა —

ჩეკზე მიხვალ, რიგია და
მას ვერ აღწევ, რაც შენ გსურდა,
შეგ გოგონა რომ ტრიალებს,
ფულს აძლევ და არ აქვს ხურდა.

თითო შაურს ხომ დაგაკლებს,
უზალთუნს თუ არ გაცურებს,
ერთი სიტყვით, ჩეკს გავწვდის და
ხურდას კიდევ... ახალტურებს...

შებუფეტეც დარდიმანდობს,
სწრაფი არის, როგორც ტყვია:
პურს ეტყვი და... ხელად გავწვდის
ვით მოსჭრა, არც შეგიტყვია...

აბა, სასწორს ხელს რომ დაჰკრავს,
ჯამს გადმოაყინწისთავებს:
ოთხას გრამ პურს ის ხალტურით
ხუთას გრამად მოვითავებს...

კოვზი, დანა, ჩანგალი ან
სხვა სადაა ინვენტარი...
ეჰ, ნიანგო, კარგია აქ
შენი ჩანგლის გრძელი ტარი.

ვოლტა.

კიოსკი გვაქვს

ქ. გორში ერთი საგაზეთო კიოსკი
და ისიც სულ დაკეტილი. გორელები-
სათვის ახალი გაზეთი. ძნელი საშოვარია
ანდრა ბულაშვილი.

„სოიუზპეჩატს“ ვენაცვალე,
„მამაცია, და კეთილი:
კიოსკი გვაქვს მისგან მუდამ
დასალტული, დაკეტილი.

მიზეზი

ტერის აფურის ქარხანაში (შორა-
ბანი) მუშები ხშირად რჩებიან სასმელი
წყლით მოუმარაგებელნი.

ქ. შარვაშიტაძე.

ეს ხდება იმით რომ ალბათ მმართველი
ქარხნის პრინციპში არ სწყალობს წყალსა,
და მოსაკლავად წყურვილის გრძნობის
ხუნუსაყენ მიაყრობს თვალსა.

ფანჯარაში აპარებს

ძირულა (ზესტაფონის რაიონი) „საქ-
ვატრობის“ ნოქარი კალენიკე კახია-
შვილი მომხმარებლებს მუდამ ლანძ-
ღვითა და გინებით უმასპინძლებდა და
მათზე მოსულ საქონელს კი ჩუმად თა-
ვის ძმაბიჭებს ურიგებს.

ფარშევაწამი.

ლანძღვითა და გინებით
მომხმარებლებს „ახარებს“,
მათზე მოსულ საქონელს
ფანჯარაში აპარებს.

„გამარჯვებული“

პეროვის ქუჩაზე № 8 სახლში მცხოვრებ მ. კალ-
მახელიძე, რომელსაც სასამართლომ ხულიგნობისათ-
ვის 2 წლის პირობითი პატიმრობა გადაუწყვიტა,
თავი გამარჯვებულად მიაჩნია და კვლავ აგრძელებს
მეზობლების აწიოკებას.

8. 3.

მართალია, ეს ცოტაა
სათქმელადაც არ ღირს „ეგო“,
თვრამეტი მყავს გალახული
ნაცემი და განაბრევი.
რალაც ორი წელი მომცეს
პირობითი განაჩენი,
შაქრად შემრჩა ხულიგნობა
ახალიც და დანარჩენიც.
ვინ რას მიზამს, მეხივით ვარ,
კალმახელიძე ვარ, მარო,
მე ვახლავარ დაუშრეტი
ლანძღვისა და ჩხუბის წყარო.

გამვლელი

უნფ გაყავს თანა...

თუ გაუგზავნეთ ვინმეს წერილი
და სტუდენტალაქის ფოსტაში მოხვდა,
დაგემართებათ ალბათ ჩემსავით
ამას წინათ რაც ჩემს თავზედ მოხდა.

დამაქარვინეს სულის საუნჯე
და ეხ, ვინ იცის, ვის ეტრფის ახლა,
ნეტავ გრძნობდეს, რომ ეს ბოროტება
ფოსტის მუშაკთა „გმირობა“ გახლავს.

შენ ფოსტის გამგევე, ვგიაზროვ,
ამას მოვითხოვ ახლა შენგანა:
მომანახვინე ის სატრფო, თორემ
სხვა მიშოვე ან შენ გამყვე თანა.

რახი

ზვანი ფონი



შოთას (სამტრედია) მივალეთ თქვენი ვირიკული ლექსი (თუ ლირიკული. დარჩეს თქვენებურად; არ გედავებით):

აღებრა: გადამიტანა
თაფისი ლაგარითმითა,
და ამის გამო ლექსები
აღარ გამოდის თავშია.

ეს ყველაფერი დაგროვდა
გამოცდის წინა დღეებში,
ფჯავრობ პოეტი თუ ვიყავ
ჩქამდის სად ვიყავიო.

აფსუს, რა ფსევდონიმს აფუჭებთ?!

ტარხუნას (აცანა, ლანჩხუთის რაიონი) იწერებით:

რა არ გინდა რომ გაიგო
აცანისა ფოსტისაგან,
წერილს დროზე არ მოგიტანს,
დაგედობა გულზე ლოდი.

ამისთანა „გალექსალი“ წერილები სულაც
რომ არ მოიტანოს, მაინც არაფერი დაშავ-
დება.

დრიმავომომლს (აქვე) — თქვენს ლექსში ერთადერთი ტაეპის სწორი, მართალი და გამართული:

გაზაფხული მიიწურა,
დღე მცხუნვარე დღეებს მისდევს,
გამოცდები მოახლოვდა,
თავში არაფერი მიდევს.

გეთანხმებით.

თომას (აქვე) მოგვწონს თქვენი გულახ-
დალობა:

ლექსის გამოთქმა, ნიანგო,
არ ვიცი კულტურულადა,
დავიწყებ მეზღაპრესავით,
ვათავებ ბოლოს ტყულადა.

მაშ, რომ არ გაათავოთ და დაუსრულებ-
ლად სწეროთ, გოდორში ხომ ნამცეცა ად-
გილიც აღარ დარჩება თქვენი ლექსის მომ-
გვანო მასალებისათვის?!

ნიკ-ძეს (ლანჩხუთი) იშვიათ ამ-
ბავს გვატყობინებთ ლუდას გამყიდველთა
ცხოვრებიდან:

არის ქვეყნად
ერთი კაცი,
ბივას ყიდის,
არა ჭაფხა...

ვერ დავიჯერებთ: ქაფი თუ არა გვყავს
„ქაფს“ რითი დაიტოვებს?!

კაკულის (აქვე, სტუდენტთა ქალაქი) განსვენებულ სოლომონ ზურგიელიძის აჩრ-
დილსაც კი შეშურდება თქვენ მიერ გალექ-
სილი აფორიზმები. აა ნიმუში:

სადგურს ნუ მიხვალ ბილეთისთვის
ნუ დადგები ვეჩერედში,
თორემ ბილეთის ყიდვის დროს
ჯიბებს ავაცლიან წელზე.

მასკე — აა კიდევ ერთი „მარგალიტი“
თქვენა ლექსებიდან:

ჟორა ვნახე გულმომსული,
დადიოდა ქუჩის პირას,
შევეკითხე — რა შეგემთხვა.
— ცხვირი დავკარ მუხის ძირას.

ჟორას ცხვირის ავარიის შესახებ ჩვენ პი-
რადათ არაფერა ვიცათ, მაგრამ აშკარად
სჩანს, რომ თქვენი თავი შესამჩნევად და-
ზიანებულა.

იმ დროს, როდესაც კოლმეურნეობებს უძნელდებათ თბილისში
სავაჭრო დარაბების შოვნა, ზოგიერთი ცრუარტელები დარაბებს
ტყვილა აცდენენ.



ჩეკლაბა და ცხოვრება



თავისუფალი ოფიცერი: — მოდი, მომევიტ, რამ შეგაშინათ ხიდი მთელია! იერიშზე უნდა გადავიდეთ!
 ჯარისკაცი: — ახლა კი მთელია, მაგრამ უკან გამოქცევის დროს ვინ იცის რა იქნება..